

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება
№3/306

08.09.2006

ქ. თბილისი

“საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის “ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში, ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2006წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად,

ებრძანებ:

1. “საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის “ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში, ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართში შეტანილ იქნეს ცვლილებები:

ა) რიგითი №994 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

994	ლიკანის პარკი, შემდეგ საზღვრებში:	XIXს-ის ბოლო, XXს-ის დასაწყისი	ბორჯომი, ლიკანი, მესხეთის ქ.№16
-----	-----------------------------------	--------------------------------	---------------------------------

ლიკანის პარკი ძეგლის საზღვრებით



ექსპლიკაცია

1. ლიკანის სასახლე
2. შვეულმფრენის დასაჯდომი მოედანი

— ძეგლის საზღვარი

ბ) რიგითი №392 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

392	მერაბ კოსტავას ქ. №27	საცხოვრებელი სახლი	XXს. დასაწყისი
-----	-----------------------	--------------------	----------------

გ) რიგითი №2535 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2535	სატაძრო კომპლექსი – დედოფლის მინდორი	ძვ.წ. I ს.	სოფელი დოდლაური
------	---	------------	--------------------

2. კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენისა და სრულყოფილი აღწერის მიზნით, დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტს (ლეილა თუმანიშვილი) უზრუნველყოს ბორჯომის რაიონში – ლიკანში მდებარე პარკის სრული ინვენტარიზაცია და საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს საკითხი ძეგლის საზღვრის კორექტირების ან/და გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – “საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”.
4. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს, უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნებისათვის საჭირო თანხების, ასევე ბორჯომის რაიონში – ლიკანში მდებარე პარკის ინვენტარიზაციისათვის საჭირო სამივლინებო თანხების გამოყოფა.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს – ნიკოლოზ ვაჩეიშვილს.
6. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მის: ქ.თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით სარაჯიშვილის ქ. №1^ა).

მინისტრი

გ. გაბაშვილი